

მაგრამ ვაჭრობა ქან სტოვის თხოვნით გადასდეს, რადგანაც სტოვისას შურის, ეს მამული პეტერბურგის ერთს ამხანაგებს მიჰყავს. ამ მამულის შექმნას მოწოდებულია ერთი ბაქოელი მდიდარი კაცი, არაქელ ცატროვი. ცატროვის და მძებს ამაგარეგებს სურია ამ მამულში სახეურნო სკოლა დააარსონ და ამ სკოლას შესწირონ მისი შემოსავალი.

*** * * ჩუბ. 06. წმ.** — ში კვითხულობით, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზარუნველმა მისწერა მასწავლებელთა, შეპყრიფთ შედგევი ცნობანი:

- 1) იმ ავადმყოფობის სახელები რუსულსა და ადგილობრივ ენაზედ, რომელიც სწორია იმ ადგილს,
- 2) რა არის მიზეზი იმ ავადმყოფობის გავრცელების, ხალხის ფიქრით,
- 3) რა საშუალებას ჰმხარობს ხალხი სენის წინააღმდეგ, მეცნარეთა და ლითონების სახელები რუსულად და ადგილობრივის ენით უნდა იყოს დაწერილი.
- 4) სხვა-და-სხვა შულოცვა სენისაგან განთავისუფლებისათვის შეპყრიფთ და გამოჯანუცნთ თარგმანი თურთა.
- 5) რა გვარად ცილება ხალხი მკითხვებს, პატეხს სცემს, ეწინიან მისი, თუ სძულს, რამდენია მკითხვენი და გართულნი.

* * * ამ თვის 18, ბაღის ქუჩაზედ, დავილოვის სახლის შესავალ კარებთან იპოვნეს ზუთის დღის დახვეწილი მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

პარტული თამატი

„თელავლი ოტელი“ დაბაზა „მოქმედ. თხზ. ან. ბენაშვილისა“.

კმარა იაგორაზედ ლაპარაკი. მაგრამ როგორ არ უნდა მიმეცია ქურადლება იმ ადამიანისათვის, რომელიც მიზეზი და დასაწყისია მთელის პიესისა. მართალია, ორივედ სიტყვა ექვის უსახეობა, რადგანაც ეს ექვია თვით უსახეობის ძარღვი პიესისა. ექვი, თუ თქვენც დამეთანხმებით, ძალიან იშვიათი ამბავია გლუბ-კაცის ცხოვრებაში და ხშირია, ვგრედ წოდებულ ინტელიგენტთა შორის.

გლუბის ქალი, თუ სილომახესთან ერთად მოკლებული არ არის ჯანს და ოჯახში ბარჯა გულმოდან, მღელ იპოვის თავის შულის სიტრფობს, რომელიც იმისთანავე მუშა კაცი უნდა იყოს. აქ ერთმანეთს სატრფობნი ძალიან მცირედდ რასმე სიხიფენ, ადვილად შესაძლებელს და შესასრულებელს. და თუ ორივენი დაუბრკოლობლივ ასრულებენ ერთმანეთის სურვილს, ოჯახი და უწყურდება და მით ბედნიერები და მყოფიონი არიან ერთმანეთისა. ექვს აქ ხელი არა აქვს. სულ სხვაა ინტელიგენტთა შორის, სადაც ქალისა თუ კაცის მოთხოვნილება მეტად რთულია, გამოუყვევლი და სხვა და სხვაფერია. არც ქმარსა აქვს კარგად გამოკვლილი სახე მომავალ ცოლთან ცხოვრებისა და ქალი ხომ ამ მხრით სულ სინებელია. ქალი ალაღ-ბეღელდ იზრდება, ალაღ-ბეღელდ სიხიფდება და შედის ცხოვრებაში, რომლისაც არც მოთხოვნილება იცის, არც არა-

ვითარი ცნობა აქვს და ბარბაკით, ხელის ფათორით ალაღ-ბეღელდ ეწყობა ახალ ცხოვრებას. თვით ქვიანს, დაბრახილს და დაფიქრებულ კაცს ვერ მოუხერხებია ხანდისხან მიაწყოს თავის ცხოვრება ისე, რომ თავის მიუღილი კმაყოფილებაზედ დაყრდნობილი ვანსვენებს მიეცეს. ასეთია თვით სოციალური წყობილება ჩვენი. ერთს წამს რომ გგონიათ, ცოლ-ქმარნი ვითომ ბედნიერი ხართ და მყოფდით და მშვიდობით ცხოვრობთ, გაიხედავთ და თქვენს გვერდზედ, თქვენს მეგობრის ცოლი სულ სხვა, ბრწყინვალე, მოულოადად ატყეხს თანამაზისა და ბავშვში იტყეხს დროს და მით ბედნიერია. იქნება ჩემს ცოლსაც სწყურიათ იმ ნაირი ბედნიერება და ჩემი შეძლება ნებისა არ მყოფეს? იფიქრებთ თქვენ. უსაფუძვლო ფიქრია, შეიძლება; მაგრამ ამ ფიქრის დაბლება საქმარისა, — ეგ ფიქრი იმევე ექვის დასაწყისია. ტყუილი ვიტყვით ხოლმე, რა საბუთი აქვს ამა-და-ამ კაცს ექვიანობისა; საბუთი გარედ არ მოიძებნება, საბუთი თვით ადამიანის გულშია, მოლოდ მიზეზი გარეშე. თუმცა ისიც მოხდება ხოლმე, რომ საბუთიც და მიზეზიც თვით ადამიანისა; როგორც, მაგალითად, ბუნებით ნაკლიანი, მსინჯი ადამიანი.

მაგრამ ვინაო მიზეზი ჰქონდა ექვიანობის ბუნებით ხომ უნაკლები ადამიანი იყო; მეტად დასაწყობებული სხელებთან შედარებით — განთქმული მოკრევე. რა უნდა მოეთხოვა მისთვის ცოლს? სილომახე, ვაყვარებ, საყვარელი? ეს ხომ ყველაფერი ჰქონდა. თვით ნუშომ დაარწმუნა მით, რომ სხვის უფრო უთხრა და, თითქმის შრომალების სურვილის წინააღმდეგ, სიყვარულით შეირთო ვანო. ნუშომ არ იცოდა ვანა რა ცხოვრება ექნებოდა ქმართან? იქნება იმის სხვაინაო ცხოვრება ჰქონდა წარმოდგენილი? არა მგონია; ნუშოს კარგად უნდა სკოდიოდა, რა ცხოვრებაც ექნებოდა ქმართან, რადგანაც ეს ცხოვრება თითქმის ვანგარეგლება უნდა ყოფილიყო იმის უწინდელ ცხოვრებისა. ვანოსაც რა საბუთი ჰქონდა ფიქრია, რომ ამნაირი ცხოვრება მის ცოლს არ დაეკმაყოფილებდა? ვგონებ, ვანო ისე დარწმუნებული იყო ამ მხრით, რომ არავითარი ექვი არ დაემაღებოდა.

დარჩა ერთი გარეშე მიზეზი — ქორი. ვანა ქორი მოაკიდებს კაცის გულში ფეხს, თუ ნიდაღი მომზადებული არა აქვს, ისე როგორც, მაგალითად, შექმნილის ოტელი. შეიძლება ქორი უფროთი უსაიოვანო ჰყოს ადამიანს, ჩხუბიც მოახდინოს ცოლ-ქმარს შუა, მაგრამ საღს ადამიანს, ჩემის აზრით, თუ მის გულში ამ ქორისათვის ნიდაღი არა აქვს მომზადებული, ის ვერც გააყვებს და ვერც დიდ-ხანს აშოფოთებს. ვანო ამ მხრით გაუგებარი კაცია და მით მოკლებული მაყურებლის თანაგრძობას; და თუ ზოგჯერ ავტოცრემლიანებს, ამის მიზეზი სულთა-ავადმყოფის შებრახლება და არა ექვიანის კაცისა. ეს თანაგრძობა მაყურებლისა მით უფრო მცირდება, რომ ვანო სრულიად უცნობი გამოდის სცენაზედ; ვაგიცნობს მართლ, როგორც სულითა-ავადმყოფს კაცს და სხვა თვისებანიც მისის ბუნებისა, თითქმის მთელი კაცი ბოლომდე უცნობი რჩება ჩვენთვის.

ერთი შენიშვნა. ვანოს უყვარს ნუშო. ეს უუქველია; მაგრამ ამ სიყვარულს ვინაო რაღაც აქვია; ისე, როგორც მშენიარის, ლაბას ქალს — მარლი. ჩვენ ქართველ ქალებს მეტრის-მეტად უყვართ ჯვარის წერის ყურება; ნაცნობი თუ უცნობი საყვარელის ცნობის მოყვარობით ათავადობენ მშვედ-დღეობას და მით კმაყოფილებს საზღვარი არა აქვს, როდესაც დაინახავენ, რომ გარეგნობით მინც ცოლ-ქმარნი ერთმანეთის შესაფერი არიან. ეს შეფერება უნებლიედ ყველას ასიამონებს და ძალს აძენს უთანაფერძნის სავთო ბედნიერებას. შესაზარის ოტელი პირველად დიდებულ დარბაზში დიდებულია შორის მოკრებობის მიერს თავის ცხოვრებას, რომლისათვის ეს შვი მიგვიყვებს თავს და სათავეშივე გმირად გვეხატება. იმას უფლება აქვს მოსთხოვოს სიყვარული ყველას, თვით უმანკო, ანგელოზის მცვაეს დიდებუანსაც. მათი სიყვარული უნდა იყოს მშაღარი, შურუყვევლი, ფაქიზი და წინადა, ვით ღებდებოდა. ჩვენი სრულითა თვით მუშუბმა ღრუბელმაც არ გაღრუბინოს მათ სიყვარულსა.

აი, ამ ბუნებრივ ჩვენს სიმპატიას ნაკლებად იწყებს ვანოსა და ნუშოს ერთმანეთის სიყვარული. ამით ვათავებ ამ პიესაზედ ლაპარაკს. გარჩევა სრული არ არის, რადგანაც მართლ ნაკლებად იწყებს მივაქციე ყურადღება და ღირსებაზედ არაფერი მიითქვამს; ამიტომაც ვარჩევა, არ ვგვძობ, მეტად სასტიკი მომდებარა. მაგრამ მეტი რა ადამიანი, რომელსაც ჩემი წინააღმდეგ არ ექირება, გგონებ, უფრო მეტის მწნობით უწყურდება თავის საქმეს, როცა მკაცრს მშველემას მოისმენს, ვიდრე მაშინ, როცა მართა ქებით გამოუქედენ ყურებს. ავტორს ცხადდ ეტყება უნარი და იმის სხვაინაო ცხოვრებისა, ჩვენის ცხოვრებისა და სცენის ცდნა. კაცის გულში საქმაროდ ღრმად იხედება და კითხულობს მის პასუხს. პირველი ნიშნული ახალგაზრდა მწერლის შემოქმედების სრულს იმედს ვაძლევს, რომ უფრო უყუთეს ნიშნუბს ენახათ იმის ნაწერებისა. მინდობა ცოტა ვცლოდებოდა. მაგრამ ისედაც ძალიან ვაგაძლავდა ეს წერილი და ბოდიშს ვითხოვ იმათთან, თუ მოკლებული მოვს სიტყვას, ისე, როგორც სახალადად ჩვენმა გაზთებმა იცინა: ბ-ნმა სემიონოვმ ვანოს როლი ხელოვნურად შესასრულა, თუმცა თავიდან ბოლომდე, ერთ ვგარი იყო; ამის მიზეზი, ჩემის აზრით, ის არის, რომ თავიდანვე მეტად მაღალი კოლო ილია და ეს კოლო ბოლომდე ვერა. პირველ მოქმედებაში რომ ვანო უფრო ნაკლებად ყოფილიყო შეწყუბებული და გარკვევით დაგვეჩხა, ამ მუშუბარებმა სიყვედრე როგორ მიიყენა, მაშინ უფრო მიმქედებდა მაყურებელთა ყურადღებას, თორემ იმ ნაირი ვანო, როგორც ჩვენ ენახეთ, წყურებს უშლიდა მკურებელს და გონებას უღალბებდა. ქანი ავლილი იყოლისა ნუშოს როლი უნაკლებია ახალმა მოთამაშე ქალმა სარბისმა. მიზეზი-მიზეზი, სიარული, ხელების დაქტა, მცირედ თანხმებოდა მის სიტყვებს და გარბობას; თუმცა სხვაფერ თამაშობა რიგანი ჰქონდა და, უუქველია, როცა შეგვევა სცენას, ღირსეულ ალაგს

დაიჭერს არტისტ ქალთა შორის. შეუდარებელი იყო ბ-ნი გედევანივი იმ სცენაში, რომელიც სიფოსისაან ჰქონდა სათამაშო. მელოტიშვილის დიდი ხანია არ ვინახავს ჩვენს სცენაზედ და როლიც იმ ნაირი ჰქონდა, რომ ძნელია გვარ-გვარობით თქვენს რამ გადაწყვეტით. შესაძლოა, რომ იმ რთობა წყურიადამა, როდესაც ეს არტისტი ქალი ჩვენს სცენაზედ არა სჩანდა, უმნიშვნელოდ არ ჩაიხარა მისთვის.

პ. ვ—ნი

წამილი მიხეიბება

დავარჩით. — სამედიკო. — ხორცელის ღებსი. — მუყურნალო სიყვარე ჩვენს. — როგორ სჯობიან? — ზოგი შემდეგ.

ხოლერის გაჩენის გამო ფიცი-ფუცი გათავის ქვემო-მანახლებმა კალომა ამ ზეფხულს. მთელის სოფლის ხალხი სახლში თავ-მოყრილი. აქცილილი სიკვდილი და მიწვარად მანახუ სიკვდილზედ უარესიაო, ვისმის ხალხში და ეს არის კიდევ მიზეზი იმათის დრე მინ-დატრიალუბისა. რეველის ღებრთა გასაქრში მოგარეგება — და ახლანდ: მიველი ქიხიის ეკლესიებში ნენში არ ჩაივლებოდა, ისე იყო ხოლმე ხალხით დატენილი მარამომბის მარხვანში. ყველის ხოლერამ მოაგონა ზიარებაც, წირვაც, ლოცვაც, მკლესიაც; ხატიც, ჯვარიც და სხვა; უმისოდ-კი თუნდ ჰქედდ შეგვეგლოთ ვისთვისმე ეკლესიაში — გამოსწრნადეც არ შევილიდა. აღარ დარჩა სოფელი, რომ საღმრთო არ გადებოდა. 17 ვგვი-სტორს მიველი ქვემო-მანახანის ხალხი სამად გაიყო და სამ ალაგას საღმრთო გამართეს. სოფელს წინააღმდეგ რჩენას გამეგობა ბეჯითად არიგებდა ვანდ-გუნდლ თავ-მოყრილ ხალხს, რომ ესა და ეს კუქის მომშველი საქმელები საღმრთოში არ გააწყურნოთ და მოქაბებულს ნურას შესქამთ და დაჭლეთ, თუ სიციცხელ გინდათ; ვაგონეს კიდევ ეს დარიგება და კვლანვიდებური ლოთობა და ათასი ბიზანება აღარ მოსჩანდა მესალმეთაობის გრამ-გრამელია რვაქა-ლელუ“ სუფარაზედ.

სამედიკოები დიდი მუხა-კაცების ჩრდილებში იყო გამოხატული და საუყუხო სასახავს წარმოადგენდა, როცა ხალხი ოდნავ შექვიფიანდა და ოთხსავ-კუთხევი ეტელი ღობინ გააჩენის ძველის კუ-კუქურის სიღერით. უფრო შესანიშნავი იყო ამ მხრით ნაღრანთ უზნის საღმრთო, სადაც დიდ-ძალ ხალხს მოყვანა თავი და უზარმაზარი კაცლების ჩრდილებში მწყანებულ „გაქაყულ“ თითო სუფრას ასი და ორასი ადამიანი მოსჯდებოდა. ამ უზნის საღმრთო ორმა მოეჯახებ და. პაპუაშვილმა და ა. თუშუაშვილმა თითო ძრიახა შესწრეს. ჩამავალი მზე ერთი უზნის ტარ-წილ და იღვა, როცა ნაქვიფარი ხალხი სუფრიდან აიშალა და კოინთი ზედ დაემგლო ტაშ-ფანტურაზედ ქიხიყური თამაშობა ვანად რამდენიმე დამიანის ტაშ-გულეურით. ხოლო ერთს კაცის ძირს ისევ სუფრა იყო აშოვლილი, იქ ისინდენ რამდენიმე მოხუცებული კაცები და ყალიონის ქუთი დაწყურებულის კოლოთა მუყურბინდენ უწინდელ ხალხსა და დროზედ, უწინდელ გმირებსა და ხოლერაზედ და ბევრ სხვაზედ. მეც, იმათთან მყოფი, ყურს ვუდებდი იმათ

ძველიკობურ კუქუქებს და თან, მათი სამახსოვრო სიტყვებით გამსჯელოლს მრავალ ვგარი სასიუეტო ფიქრები მიველავა გულ-განგებოდა.

„გოლავ ყატანიაო, ხალხი ამბობს: ჩხუბანთ ივანე ჩინგურს დაუტარეს და შენ კიდევ ძველი ხოლერის ლესი რა გკონდა — ზედა თქვიო! და იახისა ერთმა გამარგველანგანმა, „კარგი, შვილო, მოგარგველდენ ჩვენ-კენ და ვიტყვიო, უთხრა ჩემს ვგვრს მგლომარესსაოც-და-თორმეტს წლის გილოა. ზღვის ოლქან ხალხი ჩვენს შეგვეგულა თონთქოლით, ახალგაზდა, ლამაზ მხარ-ბეგინმა ივანემ გილოა ვგვრდით ჩაჩოკო, ფანტურა აა-ულერა და მოხუცთა გილომ დინჯასამო ხმით დაძმურა...“

უჭირდა ძლიერ მიველი სიღნაღის მარხის ექიმები, რადგანაც, როგორც წინა წერილშიაც მოგახსენეთ, მიველის მარხის 83 ათას სულს ოთხის ექიმის მეტა არ მოეყოლება: ერთი სამაზრო, ერთიც ადგილობრივი — ველისციხისა და ორიც კერძო. თითო მათგანის ავად-მყოფთან მიწვევა სიღნაღლან სოფლად — სულ უფრო მანსენვლად რვა მანათხე ნაკლები აღარა გვდება, რადგანაც ვიღიტინის ფულსაც ავად-მყოფის პატრონი იხლდა, და ამა სადა აქვს საწყობ კაცს რვა მანათხე. ამ გარემოებით სარგებლობან და ყველა სოფელში და მცურებთან ძალად-ემქობენ, რომელიც წლის-წლომადმის თითო კომლს ორო მანათხე მინც აძრბობენ ერთმანეთზე და ხშირად ავადმყოფსაც უღერა-უფეშობა საჭირო ისტუმბებში თავიანთ უშეცრებით. მანახალე ორო-ორი მანათხის ძალად-ექიმების მიკემბს, ზგვრად სჯობია თითო კომლში წყურიალში თითო მანათხე ათ-ათი შაური მინც ვამოილოს სამ-ოთხმა სოფელმა, თავის საყუათარი განთავლებული ექიმი იყოლიოს თავის კარგად ყოვნიანათვის. რა ტრბის ექიმებია საჭირო მდამბო ხალხისათვის, რა გზით უფრო ადვილია ფეხი მოიკიდონ განთავლებულ ექიმებმა ჩვენ დაბა სოფელში და რა სარგებლობას მოუტანს მდამბო ხალხსაც და თვით ექიმებსაც მათი ერთმანეთთან დაახლოვება — ამამზედ სხვა დროს მოველაპარაკები მეთხველს. საყურადღებოდ ჩვენი მომთხოვის ექიმ-სტუდენტებისა, რომ სილომახე-კაცი ვინაო გულანყვევლი ხელ-მეორედ სამშობლოს გარედ გადადებუა მოვლით თავის და მშობლის ქვეყნის საუბედროდა...

პარტული თამატი მუთანისში

დაიწყო ქუთაისშიაც სეზონი ქართლის თევრებისა. ახლა-კი შევიძლებთ, ვგონებ, ხოლერისაგან შექმნილულ — დადარდინებული გული თვარტარის სიარულით ვგართობთ. პირველი წარმოდგენა ჩვენს პატარა, კუპა-ტო თვარტარში იყო კვირას, 11 ოქტომბერს, ბ-ნ ე. მესხის მოთავეობით. წარმოდგენის გუტკოვის 5 მოქტარებადა ურელი აკოსტა. არტი-სტები იყვნენ: ქანი ე. ს. მესხისა, ქი ივანისა და ბ-ნი ე. მესხი, სარუმე-ლი და მესხი, ბაღმანიფაძე, ჯ—ანი, ზგვანელი და ბოლქვაძე. უმთავრესი როლი ამ პიესისა (ურელი აკოსტა, ვერალოთა ფილოსოფოსი) ითამაშა ბ-ნი ე. მესხმა, რომელმაც დიდის

* დასასრული. იხ. „ივერია“, № 217.

ხელოვნება და შრომით წარმო-
გვიდგინა თვალწინ ავტორის მიერ
დახატული კაცი. საზოგადოებამ ამის
გამო უხვად დააჯილდოვა არტისტის
განუწყვეტელს „ბრაგის“ ძახილით.
ლამაზად და მზღნდნოლად თამაშა აგ-
რეთვე ქანა მესხისმ „იუდიფის“
როლი, ნამეტყველად ის ადგილი, სა-
დაც იმედ-დაკარგული თავს იწმ-
ლავს და კვდება თავის საყვარლის
„ურთიელ აკოსტას“ თვალწინ. კარ-
გნი იყვნენ აგრეთვე ქ. ივანისძის,
ურთიელს დიდს „ესტერიას“ და დ.
მესხის— დე. სილოვს“ (მსუფუხელი
ემიის) როლით; [აგრეთვე ზეგანოვი
„დე-სანტოს“, რაბინის როლით. დი-
ნარჩენებზე-კი ვერ თამაშობდნენ ისე
კარგად. ბეკობაძის, რომ გაუწყვე-
დენლი არიან ჯერ სცენაზე და
და სცენისათვის საჭიროა, ლა-
ზაიანი მინერა-მოხერა ადგილით. ბნ-
სარუმელს უფრო მეტეცა ეს ნა-
კულუნივები. თავისი საყვარელი ქა-
ლი—იუდიფი უკვდება და ის-კი,
ტირლისად და ქვირინის თავზე, უხერ-
ხულად დასტყვერდა მათს. ვერ იყო
კარგი აგრეთვე ბ-ნი გ.—ანი, „ბენ-
აქასა“ (რაბინთა უფროსი) როლით,
რომელიც, თათბირ-და-ათის წილის
მოკლულურებულ მოხელეს მიხერა-
მოხერის ნაცვლად—ცერცვიით ხტუ-
ნავდა.

საზოგადოდ-კი წარმოდგენამ კარ-
გად ჩიაობა, როდემდეც კარგად იცო-
და ყველამ. ხალხი წარმოდგენას
იმდენი ად დასწრებით, რამდენსაც
იმედი იყო, აღზდა თვით ჰიესამ თუ
ვერ მოიხილა.

რაც შეეხება ახალს დეკორაციებს,
სწორედ ცხოვროდა და ლამაზად არის
დახატული; ფარდაც გამოცვლილია;
დასურათებულთა ზედ შერბა და შე-
ნობის თავზედ მარჯვენა მხარეს გა-
მოხატულია ეკატერინე მეორე, მხო-
ლოდ მარცხენა-ქართული ქალის
ტიპია. არ იქნებოდა ურთობა, რომ
ფარდის თავს, საცა ბევრია ცარიე-
ლი ალავი, დახატებინებინათ სურა-
თი ჩვენთა სახელოვან მოღვაწეთა,
როგორც, მაგალითად, თამარ მეფე-
სა, შოთასი და სხვათა. თუ მოისურ-
ებენ თეატრის პატრონები: ბ-ნი კ.
გებრიანი და გ. ხაბრეკელი, ეს ახლაც
მოხერხდება. საცა იმდენი შრომა
დასწრეს და ასეთი ლამაზი თეატრი
გამართეს, ნუღარც ამას დაიზარე-
ვენ.

ერთი შენიშვნაც, წარმოდგენის
დროს ხალხით სასცენო თეატრში საშინ-
ნელი სიტყვა ლამაზების სიმორფა-
დობით, სურათება უმეტესად კაცს;
ამისათვის საჭიროა რამდენიმე პარტის
სამუშაო გაკეთდეს კედლებში.

ღუარსად საჩინაველი

ბ. ნ. თ. კორდანიას წარჩინის ბაზო.
(წერილი რედაქციის მიმართ)

არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ
ჩვენს მკითხველს საზოგადოების
ყურადღება იმ წერილებს, რომე-
ლიც ამას წინადა იყო დაბეჭდილი
ჩვენს გაზეთში ფელეტონებად. ავტო-
რი ამ წერილებსა ცნობილია ჩვენს
მწერლობაში არა ერთისა და ორის
ფრიალ თვალსაჩინო საისტორიო ნა-
წერილად და გამოკვლეული. ყველას
ესსომება ბნ-კორდანიას მონაგრაფიე-
ბა: „დავით გურამიშვილი და მისი
დრო“, „მოავად-გამისკობის ოსმელ
სამხედრო და ქართლის სტამბის საქმე
ქ-VIII საუკუნეში“, „Антоний I,

католикось Грузин, архиепископъ
владимирскій и пропольскій“ და
სხვ. ჩვენს გაზეთში ხშირად იბეჭდე-
ბოდა ამავე ავტორის წერილ-წერი-
ლი, ფრიალ საისტორიო და საყოფა-
დღებო წერილები ჩვენის ისტორიის
სხვა-და-სხვა საგნის შესახებ. ამავე
დროს ბ-ნი თ. კორდანიას ბევრი
უშრომონა საქართველოს არქეოლო-
გიისათვისაც. ერთის დიდის წიგნის
მასალა დაუბეჭდებია და გადაეცა
სტამბისათვის დასაბეჭდად. ამას გარ-
და დაუბეჭდებია მრავალი სხვა მასა-
ლაც, რომლის დაბეჭდვას გვიბრძე-
ბა პირველის წიგნის გათავების შემე-
დგე სამ ოთხ დიდის ტანის და მრავ-
ალ-კანაღიან წიგნად. ჩვენ შემე-
თხებვა გვეწავდა გადაგვეთვლიერე-
ბინა საკარგეჭტური ფურცლები იმ
წიგნისა, რომელიც უკვე იბეჭდება,
აგრე ნახევარ წელიწადია, დიდის ტა-
რით და ზოზინად, და უნდა ესთქება,
რომ ეს წიგნი ნამდვილი განძი იქ-
ნება ჩვენს სამეცნიერო საისტორიო
მწერლობაში, დიდი შესამატი და
დიდი წყურვილის მომკვლელი იმთა-
თვის, ვისაც შემყვებრთა კვლევა და
ძიება წარსულის ცხოვრებისა და ვი-
საც უფლებია და სულთ უნდა მიე-
როვნებდ მინც ვითავისწინის
ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენთა წინაპარ-
თა ავ-კარგით და ცოდო-მადლიანი
მოღვაწეთა, საქმენი მათნი, თუ სა-
გებრონი და თუ საუფრონი. ეს პირ-
ველი წიგნი შეიცავს სხვა-და-სხვა
დასწრის მრავალს საარხეოლოგიო და
საისტორიო მასალას, დაწყობილს
ქრონოლოგიურად. ამას გარდა, ავ-
ტორის აღმოუჩენია, უპოვნია გამუღ-
მეფულის ძეგნითა და ზრუნვა-მეცა-
სისათვის მრავალი სხვა საისტორიო
მასალაც, ჯერ არსად და დაბეჭუ-
ლი, დღემდე გამოუქვეყნებელი, ჩვენ-
თა ძველთა და ახლთა მისტორიე-
მკვლევართან შეურინერელ-დავი-
წყებულნი. ამ მასალათა შორის ბ-ნი
თ. კორდანიას ასახელებს თორმეტამდე
ქართიანს, 3000-მდე სიგელ-გუჯარს,
სიგნის კათალიკოსთა და მეფეთა ზედ-
მიწვენილის და დაქვემდებარების
ქრონოლოგიით და სხვ. და სხვ.
ყოველივე ეს დიდი საუწყებ, ეს
ფას-დაუღებელი სალორა მოუპოვე-
ბია კაცს, და არა თუ მოაუპოვე-
ბია, გაუმხრავს კიდევ, გადაუტო-
ვებია, შეუსწავლი, განუმარტნია,
თორმეტს წლის განმავლობაში კა-
ცი გამოსთხოვებია თითქმის ყოველს
ვაითობას ამ წუთი-სოფლის სიაშე-
ბა, ჩამჯდარა მტკარნი, დაობებულ
და დახვეწებულ ხელ-ნაწერთა და
ეტრატებ შორის; დიდის გულ-მოღ-
გინებით, დიდის სიყვარულით და შე-
მკვლევლებით გაღებებრტყია საუკუ-
ნობით მათზედ ჩამკვდარი მტერე-
რი, აღერსითა უფურცლავს გა-
შეგებულ, შშორიანი კანაღიანები
ეტრატებისა, მოუტრესია თითო ნა-
კრობით თავებისაგან შემქმულ-გამო-
ხრილი, ნახევრობით დაფუთული-და-
კოცნილი სიგელ-გუჯარები და ახლა
ჩვენ მოგვართავს და გვეუბნება:
ჩვენსა წარსულს დროთა ამავე
თქვენთა მამა-პაპათა თავ-გადასავალი,
წარსულთა დროთა სინების გამა-
ხალღებელი ლამაზი მე მაქვს სიგელ-
შობი. მე ვიყავ სინების თვალს
წარსულის გამოძიებაში, იქ ვიპოვე
შუქი, იქ ვიპოვე შუქი, იქ აღმოვე-
ჩინე სიკეთესი, რომელიც იმდენს
დაუშვებელ წყაროსაგან და ახლა,
ესოდენის ჩემს ღვაწლის შემდეგ,

მოდით და დაეწყოთ ამ წყაროს,
მოდით და უტყვით ამ ნათესს, და
გაშუქებულს სინებულს თქვენის მა-
მა-პაპათა ცხოვრებისაო. ხოლო
ყოველ ამ სიკეთეს ისე ვერ იხილავთ,
ყოველ ამ თქვენთვის ძვირფასს და
ფას-დაუღებელს საუნჯეს ხელში ისე
გერ ჩაიღებთ, თუ ორი-ორი გროში და
შაური არ გამოიღეთ და არ მომე-
ცით ღონისძიება, გამოიტანო მე
განქმულთა საქვეყნო; თუ შეძლე-
ბა არ მომეცით, რომ დაბეჭუ-
ბა სტამბაში აქამდე მკვდარი, ჩრჩილ-
შემქმული და უტყუი მოწვენი-
გენთა წინაპართა მოღვაწეობისა,
განვახლო, განვახეტეკო, მოგრ-
თო-მოვაჯანო და ავალაპარკო სა-
დიღებელი ჩვენის ქვეყნისა და გა-
საოცრად განაღებულის ევროპი-
საო.

ღმერთო! როცა ასეა საქმე (და
რომ ასეა, ეს უნდა გეკოდროდა აქე-
მინება), განა ბნ-კორდანიას-მიერ
ლის-გამაწოდება და ხვეწნა-მუღარა-ლა
უნდა იყოს საჭირო ჩვენთვის? განა
იმაღელ უნდა მივიყვანო ჩვენთვის
დაქმულ-მოსილი, ტვირთ-ურდული კა-
ცი, რომ თვითვე იყოს იძულებული
მოგვაგონოს ჩვენი მოვალეობა და
გულსაკიეთი, თითქო მოწყალეობა ით-
ხოვსა, ხელს გვიწვდის. აღმომი-
ჩინეთ დახმარება, მე საკუთრად არ
შემიძლიან ამოდენა ხარჯი გავსწოდ
და გამოკვეყნო თქვენთვის დიდა
სარგო ჩემი ნაშრომ-ნაღაწიო? მე
დახმარება მხოლოდ იმტრამ მინდა,
რომ საუკუნო ვაგისტრუმო სტამბისა,
და თუ დამარბა ბნ, პირმავე გამ-
ლევთ, იმას ჩემი ზედ დაგუშობა და
ახლა სხვები დაგვეტოო და გვახა-
როთ, გასაძიგნოთაო.

დაიდ, ბაქონების, დროა ვიგნებ,
გამოვიგნოხო. გინდათ ცოდნა,
მეცნიერება, გინდათ ისტორია გი-
ყვართ მამა-პაპა-ი გამოსული კაცი
და გვეუბნებათ: მე მოკცემთ, რაც
მოვიტერნახებო; მე საკუთრად არა
მინდაც, წაიღეთ, ღმერთმა მოგა-
ხაროთაო, გავაფრებო. ვისაც აქვს
ყურის სმენა, ისმინან.

ნარკვევი

(ქრულ-ნაგებობებიდან)

გუშინ ჩვენს გაზეთში გადმოე-
ჭვილი გვენდა ა Pyco. B. H. -ის
ზრნი რუსეთში სწავლა-განათლებ-
ლის საქმის განვითარების შესახებ.
ეს გაზეთი საბუთიანად სწერს,
რომ რუსეთში საჭიროა მოაშუ-
ბული სკოლა გაიმართოს, რად-
განაც ამ ბოლოს დროს სწავლის
მსურველი ძლიერ ბევრად დასკო-
ლებში-კი უკვლავ მსურველთათვის
ადგილი არ არისო. ასეა ჩვენშიაც.
სოფლებს თავი დაგვენებთ. საქმე-
თველას დედა ქალაქის—ტფილი-
სის სკოლებში. მუხედის მსურველ-
თა რიცხვიდან ადგილის უქონ-
ლობისა გამო ნახევარსაც ძლიერ
იღებენ. ტფილისის მთავრე გიმნა-
ზიში, მაგალითად, წილის 192 ქმა-
წილები შეტრან ამ გიმნაზიაში მი-
საღები თხოვნა. ამათში მხოლოდ
106 ქმაწილი იმდენს და დანარ-
ჩენი 86 ე. ო. თათქმის სასწავრა უკან
დასაბრუნეს. ტფილისის სხვე ნოეთ-
ოზის სამიქალაქო სკოლაში წილის
146 თხოვნა შეტრანეს და სკოლა-
ში მიდებინს. ამათში მხოლოდ 59

მიდეს და დანარჩენი 87 ქმაწილი
ე. ო. სასწავრულ გავლენით მტე უკან
დასაბრუნეს. გავგვიდგან იწერებინა-
დღის მოუქმედლობით მოველე-
დით ქმაწილების სკოლაში მისა-
ღებ ეგზამენების დღეს—15 სექ-
ტემბერს. სკოლებში მრავალი თხო-
ვნა იყო შეტრანი, მაგრამ ძლიერ
ცალბანი გაბეზდნიდნენ და სას-
გარწმუნებელი უკან დასაბრუნეს. რა უნ-
და ქმან ამ საცოდავებმა? ან სკოლ
უსწავლელად უნდა დარჩნენ ან
სახლში ძლიერს ისწავლონ ანაბანა.
ასეა უკვლავ ჩვენ ქალაქებშიაც.
უფრო სასწავრულ მავალით წარ-
მოადგენს ბაქო, რომელიც უმეად-
რებით მდიდარი ქალაქია. გაზეთი
„Каспий“ სწერს სხვათა შორის

ქ. ბაქოს ყოველ წლი 612,000 ათ-
სი მანთი აქვს შემოსავალი და ამ ფუ-
ლიდან მხოლოდ 66,000 მანთისა ზარ-
ჯებს სწავლა-განათლების საქმისათვის. ავი-
ლოს მთელი ქალაქი—სტრანაში. ქალაქის
მხოვრებთა რიცხვი ერთი ორად ნაკლე-
ბია, ვიდრე ქალაქი. შემოსავალი ნაკლები
აქვს (609,000 მ. წელიწადში) მარამ სკო-
ლების შესანახად-კი, ყოველ წლი 82,000
ათას მანთისა ზარჯავს ე. ო. 16,000
მანთით მტეს, ვიდრე ბაქო.

უკუთავდა არ არის სწავლა-განა-
თლების საქმე ანერე-გავასის სხვა
ქალაქებშიც; ბათუმსა, ქუთაისს,
ფოთში და სხვა. დაბა-სოფლებზედ
ხომ ნუღარბა იტყვიოთ. ახალი სკო-
ლის დაარსება რომელსამე ჩვენს
სოფლებში სწორედ რომ დიდ ამ-
ბავად და დღესასწაულად უნდა ჩი-
თვალიოს. მართალი უნდა სთქვას
ცაცმა, სოფლებში სკოლების და-
არსება ამ ქამად ძლიერ ძნელია.
სკოლას ან თითონ სოფელთა უნდა
დააარსოს (და სოფელი-კი ისე გა-
დატავადარიბებულია, რომ სა-
ვალდებულო ხარჯსა და გარდა-
სახვადს ძლიერს უძევება) ამ არა
ჩვენმა წინა-კითხვის საზოგადოე-
ბამ, რომელიც ამ ქამად, სამწუ-
ხაროდ, ისე მდიდარი არ არის,
რომ უკვლავ სოფლებში სკოლას გა-
მართოს და ამ სკოლებში ხარჯს
გაუტდოს.

რაც შეეხება ქალაქებს, ამსჯე-
ვრე ვიტყვიო. ქალაქს მიწვც მო-
მეტებული შეძლება აქვს, ერთი ორი
სკოლა მტე დააარსოს, მხოლოდ
სწავლის საჭიროა და კიდევ...
კიდევ ის, რომ ჩვენს ქალაქების
თვით-მმართველობამ შეიგნოს,
რამდენად საჭიროა და სასარგე-
ბლო ხალხისათვის სწავლა განა-
თლება. ქალაქის თვით მმართვე-
ლობა დარწმუნებული უნდა იყოს,
რომ სწავლა განათლებისთვის გა-
რდადებული ფული არასადავს და-
გარეგული არ არის და შეეძლე ერთ-
თი ათად მოაშუქებულს სარგე-
ბლობას მოუტანს თვით ქალაქსაც.

წერილი ამავე

გამოქმედის შეწადის ამქმის დროს
„მეურნადა შტოქმისა“ დიდად სასოდა მო-
სიქება; სხვ ამ წარმადილებითა და სხვ
ამ ხარბუნ ამ დროს წარმადილებითა
კერძობს ყველ სასუქმითა, რე-
სურბს და ტფილისში-კი წარმადი-
განეს ეს შესახასიქა დროს. შესახასი-
სხვად დროს მეურნადა შტოქმისა სა-
დაიტყვებურთა მსარე-კი არა მარტო,
როგორც სწავლებისა გარე ნაწარმოე-
ბა, ანამდე უფროთა თავის დიდათ და
ცხოვრებისა ცოცხლად გამოსტეოთ, თუ-

ც შესახასი ამ ბავისა ქალერ მარტა-
ცი და სხვად.

შთავრესა მომქმედი ზირი ბავისა,
მეურნადა შტოქმისა სამქმინარო შრო-
მის მოყურება და საზოგადოებისათვის
უსჯარო მოღვაწე კაცია. შტოქმისა შრო-
სა სხვას ამ დახად ზნის კაცებასჯან,
რომელს ზირად ბუნდირებისა და წარედ-
მან ანგარაშობისათვის მსხად არან სა-
ზოგადობა გაჭქმლან, გააუბკურონ და
დაუღობს ათასთა, ოდრენადც თვით-კი
ამქმინარონ, იფარებაშნ.

შტოქმისა მთავრა ქმისა ზღვის ზა-
რად გაკუბულ ამანოებისა; შტოქმისა
ამიამქმის, რომ ამ ამანოების წაქედ
მაქმინდა და სხვს უწოდოს გაჭმად
სქნის გარგრებებსა. სხვად შტოქმისა
ქმისა, იმედ ქმისა მთავრა შტო-
ქმისა ღვთისა მძა. მძა სისოქა ქმისა
შტოქმისა არ გამათყარებო ეს ამიქმე,
ამითა არ დათხოზ ამანოებში მოსა-
რუღებისა და მით შემოსავალი არ დე-
გნტო ქმისა და მოავადარებებსა. მ-
გრამ შტოქმისა მძა უკრფრით მოსიქე-
დას და გრეკ სხვს აჭმანბნეს თავის
სინადისაგ მთავრებასჯად საზოგადო-
ებისა სასარგებლოდ; შტოქმისათვის სა-
ზოგადო სარგებლობა უკვლავისა შე-
დაგეს. სხე-გაუშუქებულ და გამოქმან
ქმისა მთავრა თავის მსჯავს კაცე-
ბით საზოგადოებისა შეაშუქეს შტო-
ქმისა; რეაქტორია წრედებს ამ უბეჭ-
დაქს; სხვსა მტრინა სხვადიგან
ათხოვს, სხვსა მტენ კაცს ქმისა,
სამსურინადგან ათხოვს, ცოლისა მძო-
ბლია შექმინდობისა უფლებას ათხოვს
შტოქმისა მუღებს და მის ქალაქედ-
სჯად სამსურინადგან ათხოვს. ყველ ეს
უბეჭდავს თავსჯად დასტვად შტოქმისა,
მცგრამ ამ წარმსჯად ამ ამისა და, რე-
გორც, გმართა არ ქალაქტობს თავისა მო-
ქალეობას საზოგადოების წინაშე.

ბიბლიოგრაფია

მშ-ამე ტყველებმა, ქმელი ანტონ I
საბურთელის კათალიკოსისაგან, გამოე-
ცხადებულნენ ვისკომისის საფხით და
მ. ჰ. კარბლაშვილის რედაქციობით.
ქ. ტფილისი, ე. ხელის სტამბა. 1892 წ.

ამ სათაურით ეს რამდენიმე დღეა
გვეტყვიდნენ გამოვიდა თითქმის 800
გვერდიანი დიდი ფორმატის მტე.
რადღებდაც ჩვენ ვიცით, მშ-ამე ტყ-
ველებმა საუკეთესო თხზულებათა ან-
ტონ კათალიკოსისა. მისი შეთხვი-
სათვის ანტონი იძულო ფრანგთა და
სომხეთა განათლებულ სამღვდლოე-
ბის ყოყმობამ მე-XVIII საუკუნის
დამდგეს, როგორც მათ მიიძირეს საუ-
კეთესო მამულის შვილი, როგორც
საქართველოს, ისე რუსეთში-კი.
თეიმურაზ I, სხვა—სულთან ორბელი-
ანი, ნიკოლოზ ტფილისი (ორბე-
ლიანი), ვახტანგ VI, მესხიონ კა-
თალიკოსი (ორბელიანი), ივანე მსახუ-
ლი (ორბელიანი), პავლე თოფჩიბაში
(ანდროპოვიშვილი), ტიმოთე ტფილე-
ლი (გამაშვილი), მელიქილეტ კავკასი-
ძე, თვით ანტონ I კათალიკოსი და სხ.
მრავალი ვერ გადურჩნენ ფრანგთა
და სომხეთა სამღვდლოების გადოე-
ნასა და, თუ მთავან ზოგიერთმა ცხა-
დლოე აღიარეს უპირატესობა ფრანგ-
სომხეთა სარწმუნოებისა, დანარჩენთა
ფარულად მიიღეს უნია (რომის პა-
პის) შეტყობილებლობის აღსარება და
სულის წმინდის. ძისგანაც გამოამე-
ვლობა (Filioque). თვით რუსეთის
სახელგამილი მღვდელი-მთავარი თეო-
ფანე პროკაპიოვი ვერ გადურჩა ამ

გავლენას. ყოველი ესე კარგად შეგნებული ჰქონდა ანტონ I და საკათალიკოზო ტახტზედ აღსვლისთანავე (1744 წ.) დაუწყა ბრძოლა—წინააღმდეგობა ფრანგ-სამეფო სამხედლოებებს. მაგრამ მარტო ერთი კაცი რას გააწყობდა მრთელ ფრანგ-სამეფო სხოლსტიკურ სკოლაში გამოაწრობილ სამხედლოებებსა? ანტონმა თავისთან ერთად მგ ბრძოლისათვის აღძრა საქართველოს საომროებაცა, და ამ უკანასკნელს რომ უფრო რაგინანად და წარმატებით ებრძოლა ფრანგთა-სამეფო სამხედლოებებსა, შეადგინა „შა-მეტყველება“, რომელშიაც დიდმა შრომით შემოაქრია ფრანგთა და სომეხთა აღსარების დოკუმენტი და წესნი ისტორიულის მოთხრობებით და თავიანთ ადვანს თვითრეულად დაარღვი მათი სარწმუნოებრივი საბუთნი წარმოებთა—მედი და ახალ აღთქმითა საღმრთო წერილებიდან, მსოფლიო კრებთა და საეკლესიო ისტორიიდან და სხ. ჩავიხედოთ თვით „შა-მეტყველებაში“, იგი შესდგება სამის წიგნისაგან. მათგან პირველ წიგნში (1—20 გვ.) აღწერილია დარღვევა ნესტორის * წიგნებისა. მეორე წიგნში (21—153 გვ.) აღწერილია „უწყებთა ეფესოს კრებისა და მწყვლელებისა: ეგვიპტისა, დიოსკორესი და სომეხთა მამათა, არ აღმსარებელთა ხალკიდონის (451 წ.) კრების დადგენილებათა. მარეთვე ცნობანი აქ შემართების-მოყვარეთა სომეხთა მამათათვის, მათთა კრებთა და ნერსეს დიდის წინასწარმეტყველებისათვის“; სიტყვის გეგმა ერთ-ბუნებრიანთა მიმართ, წმ. ფლავიანეს და ლეონ პაპის მოღვაწეობათა, წამებანი მამათა და სხ.

მესამე წიგნში (154—605 გვ.) აღწერილია ღვთისმეტყველება, მარ.-მადიდებელი სარწმუნოებისამებრ (154—171 გვ.), დამტკიცება იესო ქრისტის ღმერთ-კაცობისა, დარღვევა სომეხთა მიერ „სამეტყვისა: პრომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვა“ სამწყობი და გლობაში; განიხილა და დარღვევა სომეხთა და ლათინთა საიდუმლოთა აღსარებლების წესისა; მოთხრობანი დღესწაუღალათვის, სრული დადგენილებანი და ისტორია ხალკიდონის კრებისა, სომეხთა ცთომანი და ბოროტ-მადიდებლობანი. მესამე წიგნი შესდგება 23 თავისაგან, ხოლო თვითეული თავი რამდენისა სიტყვისაგან, ასე რომ მრთელი III წიგნი 646 სიტყვისაგან შესდგება. შემდეგ ამ 646 სიტყვის შინაარსითა თვითეულად აღნიშნული მოკლე ანბანზედ. ნაშენებთა აგრეთვე წერლინი, საიდგანა-კი ანტონ უსარგებლნი ამ წიგნის შედგენისათვის. ბოლოს დამატებული აქვს: 50 ხუთმუსლოვანი დასდებულნი—იამბიკონი, სადაც ანტონი მოკლედ მოგვიხსრობს „შა-მეტყველების“ შინაარსს, და ტრიმოთე მთავარ-ეპისკოპოსის (გაბაშვილი) მშვენიერი სიტყვა ანტონ I ვითარებისათვის.

წიგნს მიუძღვის მღვდლის პ. კარბლაშვილის წინასიტყვაობა და მწელოდ გასაგებ სიტყვათა განმარტება. სტამბის შეცდომანი ძალიან ცოტად. გამოცემულია სუფთად, რიგანი ქალაქზედ და ღირს 2 მანათი ესეი შუარი. სასურველია, რომ საქართველოს ეკლესიის სამღვდლოებამ ურადგინდ მიაქციოს „შა-მეტყველებას“ და კარგად შეისწავლოს იგი, რადგან ეს ერთად-ერთი წიგნია, სადაც საფუძვლიანად მეცნიერული წესით არის ნაშენები და ჩამოთვლილი მსვლელობა ქრისტეს სარწმუნოებში აღორძინებისა და მის მბრძოლთა მოქმედებისა. ამისათვის არ შეგვიძლიან არ ეინატროთ მისი გავრცელება ჩვენს სამღვდლოებებში. „შა-მეტყველება“ თვალსაჩინოდ ამტკიცებს ქართულ სასულიერო ლიტერატურის სიმდიდრეს მე-XVIII საუკუნეში.

„შა-მეტყველების“ გამოცემით ჩვენი სამღვდლოება დიდად დაეაღწეა უკვლად პატივცემულის ეპისკოპოსის ლექსანდრესაგან, რომელიც, იმედი უნდა ექნაოთ, ამით არ შესწყვეტს თავის საქმელ-მოქმელ მოღვაწეობას.

3. ცხოველი
10 ოქტომბერი 1892 წ.
ქ. ტფილისი

დეკემა

13 ოქტომბერი.

პეტარაზური. ებრაელთა სარწმუნოებისამებრ მებრძოლი მიართვა თხოვნა, რომ ებრაელთათვის დაწესებულთა რიცხვთა გარეშე მივიღოთ სასწავლებლებში, მაგრამ საერო განათლების სამინისტრომ მხოლოდ რამდენიმე თხოვნა იცნო შეწყნარების ღირსად.

„Вирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ჩქარა საეპარო დებარტამენტთან დაარსებულ იქნება ცალკე პურის ეპაროების განყოფილება და ეს განყოფილება განაგებს ყოველსავე საქმეს პურის ოპერაციებისასაო.

სახელმწიფო ბანკში ცვლილებათა შემოღების კომისია მოქმედებს და იუწყებს 15 ოქტომბერს და კვირაში ორჯერ იქნება კრება.

„С.-Петербург. Вѣд.“ ამბობს, რომ შემოსავლის შესაფერად გარდასახალი შემოღების პროექტი მხოლოდ იმ დრომდე გადადებული, ვიდრე შეისწავლიან, როგორ არის მოწყობილი ეს საქმე უცხო სახელმწიფოებში.

ემზადებიან იმ კომისიის დაარსებას, რომელსაც მინდობილი ექნება გამოიკვილოს, თუ როგორ უნდა მოაწყოს არყის საქმე მთავრობამ იგი, რომ ამ საქმეს თითონ განაგებდეს.

14 ოქტომბერი

პეტარაზური. „Вирж. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ამ ეშამ პროექტებს აღდგენენ მარლინი ბაჟის შემოღების და ლულზედ აქციონის მომატების შესახებ.

პეტარაზური, 13 ოქტომბერი.
პეტერბურგის ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის სააღგოლ-მამული ბანკების

6 და 5% -იან გირავნობის ფურცლებში იძლევიან—102 1/4 ლ. 99, 87; 5% ობლიგაციები ტფილისის საკრედიტო საზოგადოებისა 97 მან. 62 კაბეიკად გაიყიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ოქტომბ.

სახელი	მან.	გან.	გან.
მან.	გან.	მან.	გან.
შეო-მანათიანი ოქრო	8.01	8.05	—
ტფილისის ეპაროები	160 1/4	161	—
მანქონის გერმანული	—	—	—
ფული	1.08	1.10	—
5% ობლიგაციის შინაგანს სესხის მომგები	—	—	—
ბილი	236	—	—
მარკა	217	—	—
სახელმწიფო ობლიგაციის ნაწილის ბანკის მომგები	—	—	—
გირავნობის ფურცელი	191	—	—
ტფილისის ბანკისა:	—	—	—
6%	—	—	—
5%	—	—	—
ქუთაისის ბანკისა 6%	—	—	—
6% ობლიგაციის ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	—	—	—

ბაზოსადმი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ
ჩაინის ზღის მიმოსვლა

ტფილისიდან ბათუმს მიღის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დღე.
ბათუმიდან ტფილისს მიღის . . . 9 ს. 52 წ. საღ.
„ „ 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდან ბაქოს მიღის 1 ს. 25 წ. შუად.
ბაქოიდან ტფილისს მიღის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისისა და განჯას შუა.
ტფილისიდან განჯას მიღის . . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდან ტფილისს მიღის „ . . . 7 ს. 30 წ. დღე.

ბათუმისამებრ გადას:
ბუთ შაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შევიდის ნოვოროსისკოში, კვირაობით დღისით 2 საათზე, შორის გზით, შევიდის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსისკისით.

ბათუმში გადას:
ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსისკისა და სოხუმით.
ბუთ შაბათობით: დღისით სწორე გზით კერასა და ნოვოროსისკისით.
კვირაობით: საღამოთ შორის გზით ყველა ნავთსადგურში შეიძლის.
ფოთში გადას:
საფოსტო და სახალხო ბათუმშიდან კვირა დღისით, განათიღისა.
პარაკვიობით: საფოსტო და სახალხო ოფისიდან დღისით.
სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლის ოფისიდან.
ბუთ შაბათობით: სახალხო და საქონლის ბათუმშიდან: დღისით,

ბანსხალუანი

ბილისი ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლში №14—16

სუადმოთეეს მიიღებს:
ღღღღღ 8-დან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დან 6 საათამდე.
ჰირა-შეშე დღეებში
ღღღღღ 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (150—123)

ახლად გამართული
პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მიჩაშვილისა

იმყოფება გრიზოვოლოვისა და კრუტინის ქუჩების კუთხეში, ბაღოვების სახლში. შეგორდები მიიღებან როგორც პანსიონერებად, ისე გარედა მთავარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდან.

(50—13)

ფოთის ქალაქის გაგვიგონისაგან

ფოთის ქალაქის გამგეობა, რაკი 29 სექტემბერს არ შესდგა ვაქრობა, კვლავ მოიწვევს მსურველთა ვაქრობაზედ, რომელიც დაინშულია გამგეობის სადგურში 1892 წლის 10 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ. ამ ვაქრობაზედ უნდა გაიცეს იჯარით გაკეთება გზა-ტყევილი სა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ვოგზალსა და ფოთის ნავთ-სადგურის (პოსტს) შუა, სიგრძით 805 1/2, საყენი უკვე დამტკიცებულის ხარჯთაღრიცხვით 21,355 მან. და 1 კაპ.—ვაქრობას, რომელსაც კანონით დაწესებულია, განმეორებული ვაქრობა უნდა მოჰყვას სამს დღეს შემდეგ, შეიძლება მონაწილეობის მიღება სიტყვიერად და დაბეჭდილ განცხადების შემწეობითაც.

პირობა ამ იჯარისა, დახატული პლანი და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა შეიძლება პანსიონს მსურველმა ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე უკვე დღეებ გარდა, დღის 9 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. ვისაც სურს შემოვიდეს ვაქრობაში, ვაქრობის დღეს, 12 საათზედ უნდა წარმოადგინოს 5% გამოცხადებულის სიჯარადრო ფულისა ნაღდ ფულად ან სარგებლობის ქალაქიდან ვაქრობის უზრუნველ საყუფურად. დაბეჭდილი განცხადებანი უნდა წარმოადგინო იქნას ან გამოგზავნილი არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა იმ დღეს, რა დღესაც არის ვაქრობა.

დამტკიცება ვაქრობისა ფოთის ქალაქის საბჭოზედ დამოკიდებული.
(3—2)

იოსებ ი. გოგიელოვის მაღაზიაში

ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტუტრალები) კარგის ხარისისა.
თითო 3 კაპ.
ასოგით 2 პ.—50 გ.
აგრეთვე მცირე ფასებზედ მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—14)

ბუნების კბრი

დაიბეჭდა წარ-გაიხვის საზოგადოების მიერ მეშვიდე გამოცემა, ვაღმობეჭდილი უცვლელად მესხეთე გამოცემიდან, რომელიც სახელ-გაკეთებულა (рекомендовано) განათლების მინისტრისაგან როგორც „მშვენიერ-სახელმძღვანელო ქართულის ენის სახალხო სკოლებისა და პროგრამისთვისათვის“; და აგრეთვე უწყვეტის სინაღოს მიერ. ფასი მკვიდრი და ლამაზი ყლით ოთხმანაშუხალთუნი (30კაპ.); უფლად ეს გამოცემა არ ისყიდება ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაემათება ოთხ მანაზედ, ვინც ოცს ცალსა—თხუთმეტ შუარდღავინ ოც-და-ათს ცალსა—თოთხმეტ შუარად.

სხვა ქალაქებშიდან წიგნი უნდა დაიბარონ ამ აღრესით: вѣ Тифлиси, вѣ книжный магазинъ Общества грамотности, Банковскій Караван-Сарай, № 125 и 126.

იამაგეობა და მღვ ბაზოვა ბანსხალუად

საქართველოს კალენდარი
1893 წლისათვის,
შედგენილი და გამოცემული მაღაზიან ბუნისა მიერ.

კალენდარი კვლავინდებურად დასურათებული, უფრო სრული და ყოველს ცნობით სავსე იქნება. ფასი ისევე ის დარჩება. მიიღება დასაბეჭდულად ყოველ ვაქრობის განცხადებანი. ფასი წიგნის თითო გვერდისა სავანცხადებოთა 12 მ., ბოლოში 5 მან., ნახევარი გვერდი 3 მან. მსურველთა შეკლადნი მიჰმართოს: 1) გამომცემლის სათავადაზნაურო ბანკში; 2) წერეთლის გამაგრეს. საზოგადოების კანცელარიაში და 3) მამქსიმე შარაძის სტამბაში. (10—9)